

1) მასწავლებელმა დაფაზე ორნიშნა რიცხვი დაწერა. მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის წინა რიცხვი 12-ის ჯერადია, ხოლო მომდევნო რიცხვი კი 13-ის ჯერადია. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რომელი რიცხვის ჯერადია მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის მომდევნო რიცხვი?

- 1) 11-ის 2) 12-ის 3) 13-ის 4) 14-ის 5) 15-ის

2 ბ) რომელი რიცხვის ჯერადია მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის წინა რიცხვი?

- 1) 11-ის 2) 12-ის 3) 13-ის 4) 14-ის 5) 15-ის

5 გ) რას უდრის მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი რიცხვის ციფრთა ჯამი?

- 1) 25-ს 2) 13-ს 3) 12-ს 4) 8-ს 5) 7-ს

2) ბებიამ ერთნაირი ზომის ხაჭაპური, ლობიანი და პიცა გამოაცხო. ირმამ ხაჭაპური ექვს ტოლ ნაჭრად დაჭრა და 4 ნაჭერი შეჭამა, თორნიკემ ლობიანი რვა ტოლ ნაჭრად დაჭრა და 6 ნაჭერი შეჭამა. ამის შემდეგ ირმამ 2-ჯერ იმაზე ნაკლები პიცა შეჭამა, ვიდრე – ხაჭაპური, ხოლო თორნიკემ 3-ჯერ იმაზე ნაკლები პიცა შეჭამა, ვიდრე – ლობიანი. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) ხაჭაპურის რა ნაწილი შეჭამა ირმამ?

- 1) $\frac{4}{8}$ 2) $\frac{6}{4}$ 3) $\frac{2}{4}$ 4) $\frac{8}{6}$ 5) $\frac{2}{3}$

2 ბ) ლობიანის რა ნაწილი შეჭამა თორნიკემ?

- 1) $\frac{8}{6}$ 2) $\frac{1}{4}$ 3) $\frac{3}{8}$ 4) $\frac{3}{4}$ 5) $\frac{5}{8}$

7 გ) პიცის რა ნაწილი დარჩა შეუჭმელი?

- 1) $\frac{8}{12}$ 2) $\frac{7}{12}$ 3) $\frac{5}{7}$ 4) $\frac{5}{12}$ 5) $\frac{8}{11}$

3) მამამ მთლიან საზამთროს ოთხკილოგრამიანი ნაჭერი მოაჭრა და შვილებს გაუნაწილა. მოჭრილი ნაჭერი დარჩენილი საზამთროს $\frac{1}{6}$ ნაწილი აღმოჩნდა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენკილოგრამიანი ნაჭერი მოაჭრა მამამ მთლიან საზამთროს?

- 1) 2 კგ-იანი 2) 3 კგ-იანი 3) 4 კგ-იანი 4) 5 კგ-იანი 5) 6 კგ-იანი

5 ბ) რას იწონიდა მთლიანი საზამთრო?

- 1) 12 კგ-ს 2) 14 კგ-ს 3) 24 კგ-ს 4) 28 კგ-ს 5) 32 კგ-ს

7 გ) რას იწონის მთლიანი საზამთროს მეოთხედი ნაწილი?

- 1) 6 კგ-ს 2) 7 კგ-ს 3) 8 კგ-ს 4) 12 კგ-ს 5) 14 კგ-ს

4) 7 კილოგრამი ბალი და 2 კილოგრამი ატამი ერთად, 34 ლარი და 50 თეთრი ღირს. 6 კილოგრამი ბალი და 1 კილოგრამი ატამი ერთად კი – 28 ლარი და 50 თეთრი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რა ღირს 6 კილოგრამი ბალი და 1 კილოგრამი ატამი ერთად?
1) 25 ლ. 80 თ. 2) 25 ლ. 40 თ. 3) 34 ლ. 50 თ. 4) 28 ლ. 50 თ. 5) 82 ლ. 50 თ.

2) ბ) რა ღირს 7 კილოგრამი ბალი და 2 კილოგრამი ატამი ერთად?
1) 43 ლ. 50 თ. 2) 34 ლ. 50 თ. 3) 35 ლ. 40 თ. 4) 28 ლ. 50 თ. 5) 82 ლ. 50 თ.

5) გ) რა ღირს 1 კილოგრამი ბალი და 1 კილოგრამი ატამი ერთად?
1) 5 ლ. 2) 6 ლ. 3) 6 ლ. 50 თ. 4) 7 ლ. 5) 7 ლ. 50 თ.

7) დ) რა ღირს 1 კილოგრამი ატამი?
1) 4 ლ. 50 თ. 2) 3 ლ. 50 თ. 3) 2 ლ. 50 თ.
4) 1 ლ. 50 თ. 5) ამის გაგება შეუძლებელია


5) ე) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია დანარჩენებისგან განსხვავებული დროის მონაკვეთი?
1) 1 საათის $\frac{2}{10}$ 2) 7 საათის $\frac{1}{35}$ 3) დღე-ღამის $\frac{1}{120}$

4) 1 კვირის $\frac{1}{840}$ 5) 6 საათის $\frac{1}{15}$


5) 6) შეკრიბეს სამი რიცხვი. პირველი შესაკრები მეორე და მესამე შესაკრებების ჯამის ტოლია. მესამე შესაკრები 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მეორე შესაკრები. რამდენჯერ მეტია სამივე შესაკრების ჯამი პირველი და მესამე შესაკრებების ჯამზე?
1) ორჯერ 2) სამჯერ 3) 2/3-ჯერ 4) 3/2-ჯერ 5) 4/3-ჯერ

5) 7) ქვემოთ მოცემული, რომელი ტოლობაა ჭეშმარიტი?
1) 1 სთ 6 წთ = 1,6 სთ 2) 1 სთ 6 წთ = 1,06 სთ
3) 1 სთ 6 წთ = 1,1 სთ 4) 1 სთ 6 წთ = 1,01 სთ 5) 1 სთ 6 წთ = 1,11 სთ

5) 8) მაღაზიაში გასაყიდად სამი ერთნაირი ტომარა ფქვილი მიიტანეს. დღის განმავლობაში ერთი ტომრიდან მასში არსებული ფქვილის ნახევარი გაყიდეს, მეორე ტომრიდან – მესამედი. მესამე ტომარაში არსებული ფქვილის რა ნაწილი გაუყიდათ, თუ ცნობილია, რომ სულ გაყიდეს მაღაზიაში მიტანილი ფქვილის მესამედი?
1) $\frac{1}{3}$ 2) $\frac{5}{6}$ 3) $\frac{2}{3}$ 4) $\frac{1}{6}$ 5) $\frac{1}{4}$

 9) რამდენი ისეთი ორნიშნა რიცხვი არსებობს, რომლის ციფრთა ჯამი მარტივი რიცხვია?


- 1) 28-ზე ნაკლები 2) 30 3) 32 4) 33 5) 33-ზე მეტი

 10) გიამ ჩაიფიქრა ორნიშნა რიცხვი. მან ამ რიცხვის შესახებ თქვა სამი წინადადება:


1. ჩემ მიერ ჩაიფიქრებული ორნიშნა რიცხვი უნაშთოდ იყოფა ან 3-ზე, ან 5-ზე.
2. ჩემ მიერ ჩაიფიქრებული რიცხვის ციფრთა ჯამი არ არის ლუწი.
3. ჩემ მიერ ჩაიფიქრებული რიცხვი ნაკლებია 50-ზე.

მინიმუმ რამდენი რიცხვი უნდა დავასახელოთ, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს გიას მიერ ჩაიფიქრებული რიცხვი, თუ მას ტყუილი არ უთქვამს?

- 1) 12 2) 11 3) 9 4) 7 5) 5


 11) A და B პუნქტებიდან, რომელთა შორის მანძილი 220 კილომეტრზე ნაკლებია, ერთდროულად ერთმანეთის შესახვედრად ორი ველოსიპედისტი გამოვიდა. ერთი მოძრაობდა 27 კმ/სთ სიჩქარით, მეორე კი – 18 კმ/სთ სიჩქარით. 5 საათის შემდეგ მათ შორის 10 კილომეტრი იყო. რა მანძილია A და B პუნქტებს შორის?

- 1) 235 კმ 2) 225 კმ 3) 220 კმ 4) 215 კმ 5) 205 კმ


 12) ვაჟამ თავისი თანხის $\frac{1}{4}$ ნაწილი ნინოს მისცა. ამის შემდეგ ნინოს იმ თანხის $\frac{2}{3}$ ნაწილი გაუხდა რა თანხაც ვაჟას დარჩა. თავდაპირველად რამდენჯერ მეტი თანხა ჰქონდა ვაჟას, ვიდრე ნინოს?

- 1) 4-ჯერ 2) 3-ჯერ 3) $\frac{3}{2}$ -ჯერ 4) $\frac{4}{3}$ -ჯერ

5) ამის გაგება შეუძლებელია, რადგან არ ვიცით რამდენი ლარი ჰქონდა ვაჟას

 13) თაროზე ქართულენოვანი, ფრანგულენოვანი და ესპანურენოვანი წიგნები აწევია, სულ 20-ზე ნაკლები. ფრანგულენოვანი წიგნები 7-ით ნაკლებია, ვიდრე ქართულენოვანი წიგნები, ხოლო ესპანურენოვანი წიგნები ერთით მეტია, ვიდრე ქართულენოვანი და ფრანგულენოვანი წიგნები ერთად. რამდენით მეტი ესპანურენოვანი წიგნი დევს თაროზე, ვიდრე ქართულენოვანი?

- 1) 1-ით 2) 2-ით 3) 3-ით 4) 4-ით 5) ამის გაგება შეუძლებელია

 14) რამდენგრადუსიან კუთხეს ადგენენ საათებისა და წუთების მაჩვენებელი ისრები თორმეტის თორმეტ წუთზე?

- 1) 102° 2) 100° 3) 98° 4) 96° 5) 94°